

სს „ლიბერთი ბანკის“ ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი

სს ლიბერთი ბანკი და ყველა მისი შვილობილი კომპანია (შემდგომში ერთობლივად „ბანკი“ ან „ლიბერთი ბანკი“) მოწოდებულია საკუთარი ბიზნეს საქმიანობის ყველა მიმართულებით დაიცვას ეთიკისა და პროფესიული ქცევის უმაღლესი სტანდარტები. შესაბამისად, წინამდებარე ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი (შემდგომში „კოდექსი“) განსაზღვრავს ქცევის წესების სტანდარტებს, რომელიც ვრცელდება „ბანკის“ ყველა თანამშრომელზე, მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დირექტორებზე, მენეჯერებზე, თანამშრომლებსა და კონტრაქტორებზე.

საკითხები, რომლებიც არ არის „კოდექსით“ მოწესრიგებული, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, „ბანკის“ კორპორატიული სახელმძღვანელოთი ან/და სხვა პოლიტიკებით, პროცედურებით, სახელმძღვანელოებით ან „ბანკის“ სხვა შესაბამისი შიდა დოკუმენტებით.

1. ძირითადი პრინციპები

- 1.1. სამართლიანად და კეთილსინდისიერად მოქმედება და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა წარმოადგენს „ლიბერთი ბანკის“ ზოგად სამოქმედო პოლიტიკას. „ბანკის“ თითოეულ თანამშრომელს მოეთხოვება ანალოგიური;
- 1.2. თანამშრომლებთან, მომხმარებლებთან და კონტრაქტორებთან ურთიერთობისას „ბანკი“ გადაწყვეტილებებს იღებს განურჩევლად რასის, კავშირების, კანის ფერის, რელიგიური აღმსარებლობის, ეროვნების, მოქალაქეობის, ოჯახური მდგომარეობის, სქესის, სქესობრივი ორიენტაციის, ასაკისა და ფიზიკური ნაკლოვანებებისა. ყველა თანამშრომელი უნდა დარწმუნდეს რომ სამუშაო გარემო თავისუფალია ყოველგვარი სახის შევიწროვების, ჩაგვრის, დისკრიმინაციისა და სხვა ტიპის არასათანადო ქცევებისგან;
- 1.3. „ლიბერთი ბანკი“ მოწოდებულია საკუთარ მომხმარებელს შესთავაზოს მაღალი ხარისხის საბანკო პროდუქტები და მომსახურება და მიაწოდოს მათ მხოლოდ დაზუსტებული ინფორმაცია აღნიშნული პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ;
- 1.4. „ლიბერთი ბანკი“ ზრუნავს რომ კონტრაქტორების შერჩევა მოხდეს დამსახურებისა და გამოცდილების, ასევე ობიექტური ბიზნეს სტანდარტების გათვალისწინებით, რაც საშუალებას აძლევს „ბანკს“ თავიდან აიცილოს ნეპოტიზმი;
- 1.5. „ბანკი“ მხარს უჭერს თავისუფალ და სამართლიან შეჯიბრებითობას და არასდროს არცერთი ფორმით შედის კონკურენტებთან კონსპირაციულ მოლაპარაკებებში;
- 1.6. „ლიბერთი ბანკი“ მოწოდებულია მომხმარებელთან შექმნას და გრძელვადიან პერსპექტივაში შეინარჩუნოს ორმხრივად მომგებიანი და სასარგებლო ბიზნეს ურთიერთობა.

2. „ბანკის“ ღირებულებები

„ბანკი“ საკუთარ ბიზნეს საქმიანობას წარმართავს შემდეგი ღირებულებებისა და ეთიკის პრინციპების გათვალისწინებით:

- 2.1. საკუთარი თანამშრომლებისადმი, მომხმარებლებისა და აქციონერებისადმი პატივისცემა და ღირსეული მოპყრობა, მათი სათანადო დაფასება;
- 2.2. პასუხისმგებლობა მიღებული გადაწყვეტილებებისა და შესრულებული ქმედებების ეთიკურობაზე და ანგარიშის წარდგენა დარღვევებისა და გასატარებელი ზომების შესახებ;
- 2.3. საბანკო ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და რეგულაციების მოთხოვნების დაცვა;
- 2.4. მომხმარებლის კმაყოფილების პრიორიტეტულობა. „ბანკი“ იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ძალისხმევას, რათა მოახდინოს თითოეული მომხმარებლის საჭიროებების იდენტიფიცირება და დროულად გადაწყვიტოს მიმდინარე საკითხები;
- 2.5. ყველა თანამშრომლის მიმართ თანაბარი მიდგომა და ღირებულებები;
- 2.6. მუდმივი თვითგანვითარების ხელშეწყობა და პროფესიული ზრდა, როგორც „ბანკის“ წარმატების გარანტი.

3. თანამშრომლებთან ურთიერთობა

- 3.1. „ბანკის“ თანამშრომლებს მოეთხოვებათ წინამდებარე „კოდექსის“ გააზრება და დაცვა, ასევე არსებული ან/და სავარაუდო დარღვევების მხილება, მათ შორის „ბანკის“ ანგარიშვალდებულების, აუდიტის, შიდა კონტროლის მექანიზმების, გამჟღავნების ვალდებულებების ან/და კანონმდებლობის ან „ბანკის“ პოლიტიკების მოთხოვნების შესაძლო დარღვევის ჩათვლით;
- 3.2. თანამშრომელმა საკუთარი წუხილი შესაძლოა გაუმხილოს უშუალო ხელმძღვანელს, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელი აღნიშნულთან დაკავშირებით განიცდის დისკომფორტს, მას შეუძლია მიმართოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს, მენეჯმენტის წევრებს ან აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეს;
- 3.3. იმ შემთხვევაში, თუ საკითხი ეხება მაღალი რანგის დასაქმებულს ან დირექტორს, თანამშრომელმა შესაძლო დარღვევის შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს რისკების დირექტორს, გენერალურ დირექტორს ან/და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეს;
- 3.4. „ბანკი“ იქნება შეურიგებელი სამაგიეროს გადახდის მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ქმედების მიმართ, რომელიც მიმამართული იქნება ეთიკის წესების დარღვევის, უკანონო ქმედების, რაიმე ფორმით გამოვლენილი ზეწოლის, დისკრიმინაციის, სამუშაო ადგილას არასათანადო საქციელის შესახებ შეტყობინების ავტორის მიმართ, თუ ეს უკანასკნელი მოქმედებდა კეთილი განზარახვით და საკუთარი შინაგანი რწმენის საფუძველზე;
- 3.5. „ბანკი“ გამოიკვლევს ყველა შესაბამის განცხადებას სამაგიეროს გადახდის მიზნით განხორციელებული ქმედებების შესახებ. ნებისმიერ პირს, რომელიც რაიმე ფორმით ჩართული იქნება სამაგიეროს გადახდის მიზნით განხორციელებულ ქმედებებში, დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, მათ შორის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ჩათვლით.

4. უსაფრთხოების პოლიტიკები

- 4.1. უსაფრთხოება სამუშაო ადგილას ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაეხმაროს „ბანკს“ უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შენარჩუნებაში, დაიცვას უსაფრთხოების პროცედურები, მათ შორის ევაკუაციის გეგმის ჩათვლით; ყურადღება მიაქციოს და დარწმუნდეს რომ:

- მუდმივად თან ატარებს შენობაში შესასვლელად განკუთვნილ საშვ(ებ)ს
- შენობაში შესასვლელად განკუთვნილ საშვ(ებ)ს ინახავს დაცულ ადგილას და არცერთ შემთხვევაში არ გადასცემს სხვა პირს
- არ მისცეს „ბანკის“ შენობაში შესვლის საშუალება ისეთ ადამიანს, რომელიც არ არის საამისოდ უფლებამოსილი
- როდესაც არ იმყოფება სამუშაო მაგიდასთან, სამუშაო კომპიუტერი არის დალოქილ მდგომარეობაში
- ღამის საათების განმავლობაში ძვირფასეულობა ინახება საცავში
- უსაფრთხო ან საშიშროების შემცველი პირობების შემთხვევაში შეატყობინოს უშუალო ხელმძღვანელს

- 4.2. ძალადობისგან თავისუფალი სამუშაო გარემო. „ბანკი“ შეუწყნარებელია თანამშრომლების, მომხმარებლების, მიმწოდებლების, კონტრაქტორების, პარტნიორებისა და ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან დაშინების, მუქარის ან ფიზიკური ანგარიშსწორების მიმართ;
- 4.3. ნარკოტიკული საშუალებებისგან თავისუფალი სამუშაო გარემო. ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებას შეუძლია მავნე ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის მუშაობის ხარისხსა და პროდუქტიულობაზე. თანამშრომლებს ეკრძალებათ ალკოჰოლისა და კანონით დაშვებული თუ კანონით აკრძალული ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, ფლობა, გავრცელება, წარმოება, გაყიდვა, გაყიდვის მცდელობა, ან აღნიშნული ნივთიერებების მოქმედების ქვეშ ყოფნა „ბანკის“ შენობაში ყოფნისას, საბანკო საქმიანობის განხორციელებისას ან „ბანკის“ კუთვნილი სატრანსპორტო საშუალების მართვისას;
- 4.4. უკანონო ფოტო, აუდიო და ვიდეოგადაღება. თანამშრომელთა, მომხმარებელთა, კონტრაქტორთა და სხვა ისეთ პირთა უსაფრთხოების, დაცულობისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით, რომლებსაც თქვენ შეიძლება დაუკავშირდეთ, თქვენ არ ხართ უფლებამოსილი, მოახდინოთ კონფიდენციალური ინფორმაციის ან შენობის საკვანძო ელემენტების უკანონო აუდიო, ვიდეო და ფოტოგადაღება;
- 4.5. მუდმივად ფხიზლად ყოფნა. თუ თქვენ შეიტყობთ „ბანკის“ უსაფრთხოების პოლიტიკის დარღვევის, საშიშროების ან ძალადობის შემცველი ქმედების შესახებ, ან გახდებით აღნიშნული ფაქტის მოწმე, ვალდებული ხართ ამის შესახებ შეატყობინოთ „ბანკის“ შესამისობის სამსახურს ან ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცერს.

5. მომხმარებლებთან ურთიერთობა

- 5.1. „ლიბერთი ბანკის“ საქმიანობაში მთავარი ადგილი უჭირავს „ბანკის“ მომხმარებელს. „ბანკის“ ბიზნესს საქმიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს წარმოადგენს გამჭვირვალობა, შეთანხმებული და ერთიანი მოქმედება. ჩვენ ვიმსახურებთ მომხმარებლების ნდობას და შემდგომ ვზრუნავთ აღნიშნული ნდობის შენარჩუნებაზე სწრაფი რეაგირებისა და მომხმარებლისთვის ოპტიმალური გამოსავლის შერჩევის ხარჯზე. ჩვენ ვზრუნავთ მომხმარებლისა და სხვა ტიპის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვაზე ქურდობის, გაუფრთხილებლობით გამყდავენებისა და ბოროტად გამოყენებისგან. ჩვენი ზედმიწევნით შესაბამისობა კანონმდებლობისა და სხვა რეგულაციების მოთხოვნებთან, რომელთა მიზანია „ბანკის“ მომხმარებლებისა და მთელი ეკონომიკის დაცვა თაღლითობისა და არაკეთილსინდისიერი ბიზნესს საქმიანობისგან, წარმოადგენს ჩვენი წარმატების მთავარ საფუძველს;

- 5.2. „ბანკის“ მომხმარებლების, თანამშრომლების, ბიზნეს პარტნიორების და სხვა პირების შესახებ მოპოვებული, დამუშავებული, შენახული ან გადაცემული ინფორმაცია წარმოადგენს „ბანკის“ საკუთრებას. აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს საჯარო, შიდა ან კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციას. თქვენ ვალდებული ხართ აღნიშნულ ინფორმაციას მოეპყროთ მინიჭებული კლასიფიკაციის შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრულია „ბანკის“ შესაბამისი შიდა პოლიტიკებით;
- 5.3. ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნები. წინამდებარე „კოდექსი“ ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების მხოლოდ მცირე ნაწილს. ინფორმაციული უსაფრთხოების წესები და მოთხოვნები დეტალურად მოცემულია „ბანკის“ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკაში.

თქვენ ვალდებული ხართ იცოდეთ აღნიშნული სტანდარტები და ასევე ის, თუ რამდენად მოქმედებს ისინი თქვენს სამუშაო აღწერილობაზე:

- წვდომა მხოლოდ იმ ინფორმაციაზე, რომელიც აუცილებელია თქვენთვის განსაზღვრული სამუშაო აღწერილობის შესასრულებლად
- თქვენი მომხმარებლის სახელისა და პაროლის უსაფრთხოების დაცვა. თქვენი მომხმარებლის სახელით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ. მომხმარებლის სახელის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისთვის დადგენილი უსაფრთხოების ზომების დაცვა
- „ბანკის“ უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმების დაცვა და მათთვის გვერდის ავლის თავიდან არიდება
- სამუშაო პერსონალური კომპიუტერის, ლეპტოპისა და სხვა ელექტრონული მოწყობილობების ქურდობისგან დაცვის დამატებითი ღონისძიებები, მიუხედავად იმისა, შეიცავენ თუ არა ისინი კონფიდენციალურ ინფორმაციას
- მომხმარებელთან დაკავშირებული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა ნებისმიერ გარეშე პირთან, გარდა ბიზნეს საჭიროებისა, ან შემთხვევისა, როდესაც ეს სავალდებულოა კანონმდებლობით
- თქვენი კონკრეტული ბიზნეს მიმართულება შესაძლოა განსაზღვრავდეს დამატებით სტანდარტებსა და მოთხოვნებს, რომელთა დაცვა თქვენთვის ასევე სავალდებულოა

- 5.4. ინსაიდერული ვაჭრობა. თქვენი სამუშაო აღწერილობის შესრულებისას თქვენთვის შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს მნიშვნელოვანი და არასაჯარო ინფორმაცია, რომელიც განიხილება როგორც „ლიბერთი ბანკის“ ან/და სხვა კომპანიის ინსაიდერული ინფორმაცია. ინფორმაცია, როგორც წესი, განიხილება როგორც არასაჯარო და მნიშვნელოვანი იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი გონივრული განსჯის ფარგლებში მიიჩნევს მას მნიშვნელოვნად ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

- თუ თქვენ ფლობთ კომპანიაზე ინსაიდერულ ინფორმაციას, უფლება არ აქვთ არამარტო „ლიბერთი ბანკის“

გაქვთ მონაწილეობდეთ აღნიშნული კომპანიის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში

- თქვენ არ გაქვთ უფლება, ინსაიდერული ინფორმაცია გადასცეთ ნებისმიერ სხვა პირს, ვინც შესაძლოა გამოიყენოს აღნიშნული ინფორმაცია ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისთვის, ან თავის მხრივ გადასცეს სხვა პირს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში გამოსაყენებლად
- მომხმარებელთან დაკავშირებული ინფორმაცია არ გადასცეთ ნებისმიერ გარეშე პირს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს შესაბამისი ბიზნეს საჭიროება, ან აღნიშნული სავალდებულოა კანონმდებლობით

პოლიტიკის დარღვევას, არამედ ასევე არის კანონსაწინააღმდეგო ქმედება

- თუ თვლით, რომ მას გაგაჩნიათ „ლიბერტი ბანკის“ ან სხვა კომპანიის შესახებ ინსაიდერული ინფორმაცია, მიზანშეწონილია გაიაროთ კონსულტაცია „ბანკის“ იურიდიულ დეპარტამენტთან აღნიშნულთან დაკავშირებით

5.5. მომხმარებლისთვის მიწოდებული უნაკლო მომსახურება წარმოადგენს „ლიბერტი ბანკის“ ბრენდის მთავარ ქვაკუთხედს. ჩვენ საკუთარ მომხმარებელს ვეპყრობით პატივისცემისა და პროფესიონალიზმის პრინციპების გათვალისწინებით. ჩვენი მომხმარებლის ინტერესები ჩვენთვის წარმოადგენს ყველაზე მაღალ პრიორიტეტს. ჩვენ გააზრებული გვაქვს მომხმარებელთა ინტერესების მრავალფეროვნება და მოწოდებული ვართ ხანგრძლივი და მყარი, ურთიერთნდობაზე დამყარებული ურთიერთობის შესაქმნელად. ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა საკუთარ მომხმარებელს შევთავაზოთ უმაღლესი ხარისხის, ოპტიმალური არჩევანი. ჩვენ მუდმივ მზადყოფნაში ვართ, მოვახდინოთ მომხმარებლის სწრაფად ცვალებადი ინტერესების იდენტიფიცირება და განვაავითაროთ ახალი სერვისები აღნიშნული ინტერესებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მომსახურების მიწოდებისას ჩვენ ყოველთვის ვასრულებთ საკუთარ ვალდებულებებს, მომხმარებელს მუდმივად ვაწვდით საბანკო მომსახურებას დაპირებული ფორმით და საკუთარი ღირებულებების მისაღწევად ვმოქმედებთ კეთილსინდისიერებისა და ერთიანობის პრინციპების საფუძველზე. ჩვენ მომხმარებლისგან მიღებულ საჩივრებსა და მოსაზრებებს ვეპყრობით სრული სერიოზულობით და უზრუნველყოფთ სწრაფ რეაგირებას.

6. გაყიდვები და მარკეტინგი

6.1. ჩვენ გაგვჩანია ვალდებულება ვიმოქმედოთ ერთიანად და დავამყაროთ ურთიერთობა ჩვენს მომხმარებლებთან, კონტრაქტორებთან, კონკურენტებთან და საზოგადოების წევრებთან სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე. თქვენ არ უნდა ისარგებლოთ სხვასთან შედარებით პრივილეგიებით, რაიმე სახის მანიპულაციის, შენიღბვის, ინფორმაციის ბოროტად გამოყენების, ფაქტების არასწორი ინტერპრეტაციის ან ნებისმიერი უსამართლო ქმედების ხარჯზე. გააკეთეთ მხოლოდ სამართლიანი და ფაქტზე დამყარებული განცხადებები ჩვენი პროდუქტისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის, შესაფერისობის, ხარისხისა და

- გამოყენებადობის კუთხით და ნუ მიმართავთ კონკურენტების პროდუქტისა და მომსახურების უსამართლო კრიტიკას ან ნუ დააკნინებთ მათ;
- 6.2. იმ მიზნით, რომ შევძლოთ კონკურენტებთან ჯანსაღი კონკურენცია, ჩვენ უნდა ვიცნობდეთ ჩვენს კონკურენტებს და გვესმოდეს მათი შესაბამისი პროდუქტები და მომსახურება. ინფორმაციის შეგროვება კანონიერი და საჯარო წყაროების გამოყენებით არის ჩვენი წარმატების აუცილებელი წინაპირობა;
- 6.3. მიუხედავად ამისა, თქვენ არ გაქვთ უფლება, კონკურენტების შესახებ ინფორმაცია მოიპოვოთ უკანონო და არაეთიკური საშუალებებით. აღნიშნული მოიცავს თქვენი, ბანკის, ან ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურების განსხვავებული სახით წარმოჩენას და სახელშეკრულებო პირობების, ან ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევას წვდომის მიღების მიზნით;
- 6.4. როდესაც თქვენ გაქვთ კითხვები ან ეჭვები იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა კონკრეტული ქმედება კანონიერი, ყველა შემთხვევაში უნდა დაუკავშირდეთ იურიდიულ დეპარტამენტს;
- 6.5. ერთობლივი ბიზნესის წარმართვა. ჩვენი მიზანია მომხმარებლებისთვის ან პოტენციური მომხმარებლებისთვის პროდუქტებისა და მომსახურების თანაბარ და არადისკრიმინაციულ საფუძველზე შეთავაზება, მოქმედი კანონმდებლობისა და პოლიტიკების შესაბამისად. ჩვენ გვაქვს მოლოდინი რომ ჩვენი პარტნიორები და კონტრაქტორები იმოქმედებენ იგივე პრინციპებით. თქვენ არცერთ შემთხვევაში არ უნდა ჩართოთ მესამე პირი ისეთი ქმედების ჩადენაში, რომელიც აკრძალულია კანონით ან იმ დროისთვის მოქმედი „ბანკის“ პოლიტიკებით. შესაბამისად, თქვენ უნდა მოერიდოთ ბიზნეს ურთიერთობას ისეთ პირებთან, რომლებიც არღვევენ კანონს, ან რომელთა ქმედებაც არ შეესაბამება „კოდექსის“ სტანდარტებს.

7. კონფიდენციალურობა

- 7.1. თქვენი ვალდებულებების შესრულებისას თქვენთვის შესაძლოა ცნობილი გახდეს კონფიდენციალური ინფორმაცია „ბანკის“, ჩვენი მომხმარებლის, კონტრაქტორის და სხვა პირების შესახებ, რომელიც ზოგადად არ არის საზოგადოებისთვის ან ჩვენი კონკურენტებისთვის ხელმისაწვდომი. ინფორმაცია, რომელიც არ მოიპოვება საჯაროდ, განეკუთვნება კონფიდენციალურ ინფორმაციას. „ბანკის“ მიერ წარმოებული ან ბიზნესის წარმართვისას მოპოვებული კონფიდენციალური ან ინტელექტუალური ინფორმაცია წარმოადგენს „ბანკის“ მნიშვნელოვან აქტივს. თქვენ არ გაქვთ უფლება, გაამჟღავნოთ თქვენი მუშაობის პერიოდში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, ან გამოიყენოთ იგი თქვენი პირადი მიზნებისთვის;
- 7.2. თქვენ არ გაქვთ უფლება, კონფიდენციალური ინფორმაცია გაუმჟღავნოთ ნებისმიერ გარეშე პირს, გარდა იმ შემთხვევას, როდესაც საამისოდ არსებობს „ბანკის“ კანონიერი ბიზნეს ინტერესი და აღნიშნულ მესამე პირთან გაფორმებულია შეთანხმება კონფიდენციალური ინფორმაციის გაუზიარებლობის შესახებ. როდესაც თქვენ თვლით, რომ კანონით სავალდებულოა „ბანკის“ ან მესამე პირის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, აუცილებლად მიმართეთ იურიდიულ დეპარტამენტს. თქვენ ასევე არ გაქვთ უფლება, გაამჟღავნოთ კონფიდენციალური ინფორმაცია „ბანკის“ შიგნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საამისოდ არსებობს „ბანკის“ ბიზნეს ინტერესი და შესაბამისი პირი გაფრთხილებულია გამჟღავნებული ინფორმაციის კონფიდენციალური ხასიათის შესახებ. თქვენ ვალდებული ხართ ისევე დაიცვათ კონფიდენციალურ ინფორმაციასთან მოპყრობის პრინციპები მესამე მხარის კუთვნილ

კონფიდენციალურ ინფორმაციასთან მიმართებაში, როგორც ამას აკეთებთ „ბანკის“ კონფიდენციალური ინფორმაციის მიმართ;

7.3. გახსოვდეთ, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება თქვენ გეკისრებათ მაშინაც, როდესაც შეწყვეტთ „ბანკში“ დასაქმებას. ასეთ შემთხვევაში თქვენ ვალდებული ხართ „ბანკიდან“ წასვლამდე თქვენს მფლობელობაში არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია გადასცეთ „ბანკს“;

7.4. პერსონალური ინფორმაცია. „ბანკში“ დასაქმების პერიოდში თქვენ შესაძლოა მიგიწვდებოდეთ ხელი კოლეგების, ჩვენი მომხმარებლების და მესამე პირების პერსონალურ ინფორმაციაზე. პერსონალური მონაცემების შეგროვება და გამოყენება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კანონიერი მიზნის მისაღწევად. ჩვენ გვაქვს ვალდებულება, დავიცვათ პერსონალური მონაცემების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები. პერსონალური მონაცემების დაცვა განეკუთვნება კანონმდებლობის იმ სფეროს, რომელიც გამოირჩევა სირთულით და სწრაფი ცვალებადობით, შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ თქვენ გაქვთ შეკითხვები პერსონალური ინფორმაციის გამოყენებისა და გავრცელების კანონიერებასთან დაკავშირებით, მიმართეთ იურიდიულ ან შესაბამისობის დეპარტამენტს.

8. „ლიბერთი ბანკის“ ქონების გამოყენება

8.1. ჩვენი ქონება, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური, არის ძალიან ფასეული. ჩვენ ყველას გვაკისრია ვალდებულება, გაუფრთხილდეთ და დავიცვათ აღნიშნული ქონება დაკარგვის, ქურდობის, ბოროტად გამოყენების, დაზიანებისა და შემცირებისგან, რათა შევინარჩუნოთ მისი ფასეულობა. ჩვენი ქონება შესაძლებელია გამოყენებული იქნას მხოლოდ იმ კანონიერი ბიზნეს ინტერესების მისაღწევად, რისთვისაც ისინი იყო განკუთვნილი.

ჩვენი ქონება მოიცავს:

- | | |
|---|---|
| - კომპიუტერებს, მობილურ ტელეფონებს და სხვა ტექნოლოგიურ და სატელეფონო აღჭურვილობას | - პროგრამებს, მათ შორის სორს კოდებს და ინფორმაციას |
| - ქსეროქსის აპარატებს, სკანერებს, და ყველა სახის საოფისე ინვენტარს | - ჩანაწერებსა და დოკუმენტებს, რომელიც დამზადებული ან მოპოვებულია თქვენი დასაქმების პერიოდში |
| - ბიზნეს გეგმას და მომხმარებელთა პორთფელს | - საოფისე ფართსა და ავეჯს |
| - ინტელექტუალურ საკუთრებას, მათ შორის პროდუქტებს, მომსახურებას, ან ბიზნეს პროცესებს | - ჩვენს საფირმო სახელწოდებას, ბრენდირებულ საშუალებებსა და ლოგოებს |

8.2. ინტელექტუალური საკუთრება. ჩვენი ინტელექტუალური საკუთრება და ინფორმაცია, პროცესები და ტექნოლოგია განეკუთვნება ყველაზე მაღალი ღირებულების მქონე აქტივების კატეგორიას და წარმოადგენს „ბანკის“ წარმატების აუცილებელ წინაპირობას. აღნიშნული მოიცავს ყველა ჩვენს პროდუქტსა და მომსახურებას. „ლიბერთი ბანკი“ ფლობს ინტელექტუალურ და სხვა სახის ინფორმაციას, პროცესებსა და ტექნოლოგიებს, რომელთაც თქვენ ქმნით თქვენი „ბანკში“ მუშაობის განმავლობაში.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები მოიცავს იდეებს, გამოგონებებს, კვლევებს, პროდუქტებისა და მომსახურების განვითარების გეგმებს, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიას, კომპიუტერულ პროგრამებს (მათ შორის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე სორს კოდები, ალგორითმები), ნამუშევრის საავტორო უფლებებს, ნოუჰაუსს, სავაჭრო საუდუმლოებებს, ინფორმაციას, მონაცემებს, დეველოპმენტს, აღმოჩენებს, გაუმჯობესებებს, მოდიფიკაციებს, ტექნოლოგიას, ალგორითმებსა და დიზაინს, მიუხედავად იმისა, დაცულია თუ არა აღნიშნული ქონება პატენტის ან საავტორო უფლებებით, „ბანკის“ კუთვნილ მომსახურებებისა და სოციალური ქსელების მომხმარებლის სახელზე. „ბანკს“ გააჩნია ინტელექტუალური საკუთრებისა და ინფორმაციის, პროცესებისა და ტექნოლოგიების, როგორც ორიგინალის, ისე დერივატივების, ექსკლუზიური გამოყენების უფლება ნებისმიერი მიზნით. თქვენ ვალდებული ხართ დაეხმაროთ „ბანკს“ ჩვენი უფლებების დაცვაში;

8.3. ჩვენი ქსელისა და სისტემის გამოყენება. ჩვენ უზრუნველვყოფთ თქვენს წვდომას კომპიუტერულ აღჭურვილობასთან, ელექტრონული ფოსტის ქსელთან, ინტერნეტთან, შიდა ქსელთან, მიმოწერის პროგრამასთან და სატელეკომუნიკაციო ქსელთან იმ მიზნით, რომ თქვენ შეძლოთ კომუნიკაციის განხორციელება, მომხმარებლების მომსახურება და დასახული მიზნების მიღწევა მეტად ეფექტურად. მიუხედავად იმისა რომ ჩვენ ვაცნობიერებთ თქვენს საჭიროებას, პირადი მიზნებისთვის დროგამოშვებით გამოიყენოთ „ბანკის“ სისტემები და ქსელები, ამავდროულად, მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ აღნიშნული საშუალებების თქვენთვის მოწოდების ძირითადი მიზანი არის „ბანკის“ ბიზნეს საქმიანობის წარმართვა. ჩვენი სისტემებისა და ქსელების დაშვებულზე მეტად გამოყენება პირადი მიზნებისთვის მიუღებელია. გახსოვდეთ რომ ნებისმიერი მონაცემი ან შემადგენლობა რომელსაც თქვენ ქმნით, გადასცემთ, ან ინახავთ ჩვენი სისტემებისა და ქსელების გამოყენებით, წარმოადგენს „ბანკის“ საკუთრებას. თქვენ არ უნდა გქონდეთ აღნიშნული მონაცემის ან შემადგენლობის მიმართ საკუთრების მოლოდინი.

9. ინტერესთა კონფლიქტი

- 9.1. „ბანკი“ მოწოდებულია გარე კომუნიკაცია განახორციელოს ღიაობისა და გამჭვირვალობის პრინციპების საფუძველზე. აღნიშნული კომუნიკაცია არის ზუსტი, დროული და ნათელი. ინფორმაციის გამჟღავნება ხორციელდება ობიექტურ პრინციპებზე დაყრდნობით და საშუალებას აძლევს ინვესტორებს, ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას განსაზღვრონ ინფორმაციის ზემოქმედების შედეგები.
- 9.2. თქვენ თავიდან უნდა აიცილოთ ისეთი მდგომარეობა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი (მათ შორის პოტენციური) თქვენსა და „ბანკს“ შორის.
- 9.3. ინტერესთა კონფლიქტს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს როდესაც ხდება პირადი, სოციალური, ფინანსური, პროფესიული ან პოლიტიკური აქტივობის ზემოქმედება

თქვენს უნარსა და შესაძლებლობაზე, ეფექტურად და ობიექტურად შეასრულოთ თქვენზე დაკისრებული ვალდებულებები, ან ასეთ ზემოქმედებას ადგილი აქვს „ბანკის“ ზოგად ინტერესებზე. თქვენ ასევე გექნებათ ინტერესთა კონფლიქტი ისეთი ბიზნეს საქმიანობის წამოწყების შემთხვევაში, რომელიც წარმოიშვა თქვენი „ბანკში“ მუშაობის, თქვენს მიერ ჩვენი საკუთრების, ინფორმაციის, ან „ბანკის“ პოზიციის პირადი მიზნით გამოყენების შედეგად, ასევე „ბანკისთვის“ პირდაპირი კონკურენციის გაწევის შემთხვევაში. ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია მოცემულია „ბანკის“ ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებაში.

10. კანონთან, პროცედურებთან და რეგულაციებთან შესაბამისობა

- 10.1. თქვენ გეკრძალებათ ქრთამის აღება ან წახალისება, კორუფციული გარიგება, ან სხვა ამგვარი მანიპულაცია ნებისმიერი ფორმით, რასაც შეუძლია ინდივიდის, კომპანიის ან მთავრობის წარმომადგენლის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენა. თქვენ ასევე გეკრძალებათ ღირებულების მქონე სარგებლის მიღება ნებისმიერი ფორმით, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს თქვენს მიერ „ბანკის“ სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე;
- 10.2. ქრთამის მიცემა ან აღება არამართო წინამდებარე „კოდექსით“ არის აკრძალული, არამედ იგი წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას. ჩვენი მისწრაფებაა ანტიკორუფციულ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში ყოფნა. დეტალური ინფორმაცია ანტიკორუფციულ პოლიტიკასთან დაკავშირებით მოცემულია „ლიბერთი ბანკის“ ანტიკორუფციულ პოლიტიკაში;
- 10.3. ჩვენ გვაქვს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა მესამე პირისთვის ან მთავრობის წარმომადგენლისთვის ქრთამის შეთავაზების, დაპირების, გადაცემის მიმართ, ისევე როგორც მესამე პირისგან ქრთამის მოთხოვნის ან მის მიღებაზე თანხმობის გამოხატვის მიმართ;
- 10.4. საჩუქრის გადაცემა მიღებულია ბიზნეს წრეებში და ხელს უწყობს ურთიერთობების განმტკიცებას, თუმცა ყველა ჩვენთაგანი პასუხისმგებელია იმაზე, რომ აღნიშნულმა პრაქტიკამ მავნე ზეგავლენა არ მოახდინოს ბიზნეს გადაწყვეტილებებზე. „ლიბერთი ბანკის“ ბიზნეს საქმიანობის საფუძველია მხოლოდ საკუთარი მომხმარებლის ინტერესები, პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხი და ფასი;
- 10.5. ჩვენ შესაბამისობაში ვართ კანონმდებლობასთან, რომელიც კრძალავს ფინანსური ინსტიტუტების თანამშრომლების, თანამდებობის პირების, დირექტორების, აგენტების და წარმომადგენლების მიერ ფასეულობის მქონე ნებისმიერი სიკეთის შეთავაზებას ან მიღებას შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტის რომელიმე ოპერაციასთან ან ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებით. ფასეულობის მქონე სიკეთის შეთავაზება ან მიღება მესამე პირის სასარგებლოდ ასევე აკრძალულია. დეტალური ინფორმაცია საჩუქრის გადაცემასთან დაკავშირებით მოცემულია „ბანკის“ კორპორატიულ სახელმძღვანელოში;

- 10.6. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თავიდან არიდება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ფინანსურ სექტორში საქმიანი რეპუტაციის განმტკიცება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის გზით. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია წარმოადგენს უკანონოდ მიღებული შემოსავლის წარმომავლობის ან მისი მესაკუთრის შენიღბვას რამდენიმე ოპერაციის განხორციელების გზით, რომელიც მიზნად ისახავს აღნიშნული შემოსავლის „გათეთრებას“ და მისთვის კანონიერი სახის მიცემას;
- 10.7. ჩვენ მივიღეთ ზომები „ლიბერთი ბანკის“ კუთვნილი საშუალებების, პროდუქტებისა და მომსახურების ფინანსური დანაშაულებისა და ბაზარზე არაჯანსაღი ოპერაციებისთვის გამოსაყენებლად შემცირების მიზნით. აუცილებლობის შემთხვევაში ჩვენ ვაწარმოებთ მომხმარებლების, პოტენციური მომხმარებლების და კონტრაქტორების სკრინინგს იმ მიზნით, რომ ჩვენი პროდუქტები და მომსახურება არ იქნას გამოყენებული უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის, ან ტერორისტული ქმედებების ხელშეწყობის მიზნით;
- 10.8. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაქვთ კითხვები ან შენიშვნები უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის შიდა პროცედურებთან დაკავშირებით, გთხოვთ დაუკავშირდეთ ჩვენს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის განყოფილებას.

11. კორპორაციული მართვა

- 11.1. ეფექტური კორპორაციული მართვა „ლიბერთი ბანკის“ მართვის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ჩვენი სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი აღიარებს წინამდებარე „კოდექსის“ მნიშვნელობას, კორპორაციული მართვის ღირებულებებს და მიღებული აქვს არაერთი ზომა მათ განსამტკიცებლად;
- 11.2. ჩვენ არ ვიშურებთ ენერგიას რომ დავამკვიდროთ თავისუფალი ბაზრის, კანონმდებლობასთან, რეგულაციებთან, ინდუსტრიულ სტანდარტებთან შესაბამისობისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის პრინციპები. ჩვენ ვემიჯნებით უსამართლო ან არაეთიკურ კონკურენციას;
- 11.3. ჩვენი რეპუტაცია წარმოადგენს ჩვენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივს. ყველა თანამშრომელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი სახის ქმედებისგან ან კომუნიკაციისგან, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჩვენს რეპუტაციაზე. არცერთ ტრანზაქციას არ აქვს „ლიბერთი ბანკის“ რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების ფასი.